მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №11
2021 წლის 15 მარტი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად

1. დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა (დანართი N2).
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის N26 განკარგულება.
4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია

დანართი №1

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	მესაკუთრე	ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვ.მ.	შენობა-ნაგებობების ფართი კვ.მ.	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1.	მარტვილის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. მარტვილი	848	შენობა ნაგებობა N1	41.09.37.020
2.	მარტვილის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო სამ დანიშნულების მიწის ნაკვეთი	მარტვილი სოფ. დიდიჭყონი	35	-	41.15.35.029
3.	მარტვილის მუნიციპალიტეტი	ავტომანქანა FAV GA1051 (ნაგავმზიდი) (მოძრავი ქონება)	მარტვილის მუნიციპალიტეტი	-	-	სახელმწიფო ნომერი UBU-027
4.	მარტვილის მუნიციპალიტეტი	ავტომანქანა ROLBA KA1500 (ნაგავშემკრები) (მოძრავი ქონება)	მარტვილის მუნიციპალიტეტი	-	-	სახელმწიფო ნომერი UBU-217

დანართი №2

მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა

№	საპრივატიზებო ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	ელექტრონული /საჯარო აუქციონის ფორმა	ელექტრონული/საჯარო აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/ და პერიოდულობის შესახებ
1.	848 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა ნაგებობით,(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N41.09.37.020	ქ. მარტვილი	68900 ლარი	პირობებიანი	გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. გამარჯვებულმა პირმა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებს 500 000 ლარის ინვესტიცია
2.	35 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N41.15.35.029	მარტვილი სოფ. დიდიჭყონი	2600 ლარი	უპირობო	გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში
3.	ავტომანქანა FAV GA1051 (ნაგავმზიდი) (მოძრავი ქონება)	მარტვილის მუნიციპალიტეტი	12500 ლარი	უპირობო	შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში

4.	ავტომანქანა ROLBA KA1500 (ნაგავშემკრები) (მოძრავი ქონება) სახელმწიფო ნომერი UBU-217	ქ. მარტვილი თავისუფლების N10	12000 ლარი	უპირობო	შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში